

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის

ბრძანება №1 - 1/1025

2012 წლის 20 აპრილი

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეების, ვადების, საფასურის განაკვეთების, ასევე საფასურის გადახდისა და გადახდილი საფასურის დაბრუნების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ

„ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს თანდართული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეების, ვადების, საფასურის განაკვეთების, ასევე საფასურის გადახდისა და გადახდილი საფასურის დაბრუნების წესი და პირობები“.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეების, ვადების, საფასურის განაკვეთების, ასევე საფასურის გადახდისა და გადახდილი საფასურის დაბრუნების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 18 აპრილის №1-1/611 ბრძანება.

3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

ი. მატკავა

დანართი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეების, ვადების, საფასურის განაკვეთების, ასევე საფასურის გადახდისა და გადახდილი საფასურის დაბრუნების წესი და პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეების, ვადების, საფასურის განაკვეთების, ასევე საფასურის გადახდისა და გადახდილი საფასურის დაბრუნების წესისა და პირობების (შემდგომ – წესი) მიზანია საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს (შემდგომ – სააგენტო) მიერ გაწეული მომსახურების სამართლებრივი მოწესრიგება, ფრენების უსაფრთხოების, საავიაციო უშიშროებისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების, ავიასაწარმოთა და ავიასპეციალისტების მიერ საქართველოს და საერთაშორისო ნორმების შესაბამისი პროცესების დაუბრკოლებლად, უსაფრთხოდ და ხარისხიანად შესრულების ხელშეწყობის მიზნით.

2. წესი განსაზღვრავს სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეებს, ვადებს, საფასურების განაკვეთებს, მათი გადახდის და გადახდილი საფასურის დაბრუნების წესსა და პირობებს.

3. სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების საფასური წარმოადგენს მისი ფუნქციების განხორციელებისათვის აუცილებელი ხარჯების დაფინანსებისათვის საჭირო ბიუჯეტის ფორმირების წყაროს და უზრუნველყოფს მის სათანადო ფინანსურ დამოუკიდებლობას.

4. სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების ვადა შეადგენს ერთ თვეს განცხადების რეგისტრაციიდან, გარდა ამ წესით განსაზღვრული მომსახურებისათვის დადგენილი დაჩქარებული მომსახურების ვადებისა.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 17 დეკემბრის ბრძანება №1-1/590 - ვებგვერდი, 18.12.2018 წ.

მუხლი 2. წესში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებანი

1. ამ წესის მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) მომსახურება – სატრანსპორტო პროცესის შეუფერხებელი და უსაფრთხო განხორციელების მიზნით სააგენტოსათვის საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ქმედების განხორციელების უფლების მინიჭებასთან, სატრანსპორტო უსაფრთხოების შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემასთან, მათ აღრიცხვა-რეგისტრაციასთან და გამოყენების მონიტორინგთან, აგრეთვე, სატრანსპორტო პროცესების მონაწილე სუბიექტთა კვალიფიკაციის ამაღლებასთან ან/და მინიჭებასთან/აღიარებასთან და რომლის განხორციელებისთვისაც დაინტერესებული პირი ვალდებულია გადაუხადოს სააგენტოს საფასური;

ბ) საფასური – „ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ“ საქართველოს კანონით



დადგენილი, სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის გადასახდელი სავალდებულო თანხა;

გ) დაჩქარებული მომსახურება – დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე მომსახურების განხორციელება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაზე უფრო შემჭიდროებულ დროში.

2. წესში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც მოცემულია „სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის შესახებ“ ჩიკაგოს 1944 წლის კონვენციაში, „საქართველოს საჰაერო კოდექსსა“ და დარგის მარეგულირებელ სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში.

მუხლი 3. სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეები, მომსახურების ვადები და საფასურის განაკვეთები

1. ა) საჰაერო ხომალდის (სხ) სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის საფასურის განაკვეთები სხ-ის მაქსიმალური ასაფრენი მასის (MTOW) მიხედვით:

ა.ა) ზემსუბუქი სხ-ებისთვის (750 კგ-მდე) – 500 ლარი;

ა.ბ) მსუბუქი სხ-სთვის (751 კგ – 5700 კგ-მდე) – 750 ლარი;

ა.გ) 5701 კგ – 15000 კგ-მდე სხ-ებისთვის – 1000 ლარი;

ა.დ) 15001 კგ – 90000 კგ-მდე სხ-ებისთვის – 2000 ლარი;

ა.ე) 90000 კგ-ზე მძიმე სხ-ებისთვის – 3000 ლარი.

ბ) სხ-ის სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრიდან ამოღების სერტიფიკატის გაცემა:

ბ.ა) ზემსუბუქი სხ-ისათვის (750 კგ-მდე) – 65 ლარი;

მე-2 სამუშაო დღეს – 150 ლარი;

ბ.ბ) მსუბუქი სხ-სთვის (751კგ – 5700 კგ-მდე) – 125 ლარი;

მე-2 სამუშაო დღეს – 250 ლარი;

ბ.გ) 5701 კგ – 15000 კგ-მდე სხ-ებისთვის – 315 ლარი;

მე-2 სამუშაო დღეს – 650 ლარი;

ბ.დ) 15001 კგ – 90000 კგ-მდე სხ-ებისთვის – 650 ლარი;

მე-2 სამუშაო დღეს – 1250 ლარი;

ბ.ე) 90000 კგ-ზე მძიმე სხ-ებისთვის – 1250 ლარი;

მე-2 სამუშაო დღეს – 2500 ლარი;

გ) სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრში/სხ-ის რეგისტრაციის სერტიფიკატში ცვლილებების შეტანა:

გ.ა) ზემსუბუქი და მსუბუქი (5700 კგ-მდე) სხ-ებისათვის – 150 ლარი;

მე-2 სამუშაო დღეს – 250 ლარი;

გ.ბ) სხვა კატეგორიის სხ-ებისათვის – 375 ლარი;

მე-2 სამუშაო დღეს – 750 ლარი;

დ) სხ-ის რეგისტრაციის სერტიფიკატის დუბლიკატის გაცემა – 125 ლარი

მე-2 სამუშაო დღეს – 200 ლარი;

ე) სხ-ის ხომალდების ტექნიკური მდგომარეობის შეფასება:

ე.ა) ზემსუბუქი სხ-ებისათვის (750 კგ-მდე) – 800 ლარი წელიწადში;

ე.ბ) მსუბუქი სხ-ებისათვის (751 კგ – 5700 კგ-მდე) – 1250 ლარი წელიწადში;

ე.გ) 5701 კგ – 15000 კგ-მდე სხ-ებისთვის – 3000 ლარი წელიწადში;

ე.დ) 15001 კგ – 90000 კგ-მდე სხ-ებისთვის – 4500 ლარი წელიწადში;

ე.ე) 90000 კგ-ზე მძიმე სხ-ებისთვის – 8750 ლარი წელიწადში;

ე¹) საქართველოს საზღვრებს გარეთ ბაზირებული, საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული საჰაერო ხომალდების ფრენის უსაფრთხოებაზე ზედამხედველობა:

ე¹.ა) მსუბუქი სხ-სთვის (751 კგ – 5700 კგ-მდე) – 15000 ლარი წელიწადში;

ე¹.ბ) 5701 კგ – 15000 კგ-მდე სხ-ებისთვის – 24000 ლარი წელიწადში;

ე¹.გ) 15001 კგ – 90000 კგ-მდე სხ-ებისთვის – 36000 ლარი წელიწადში;

ე¹.დ) 90000 კგ-ზე მძიმე სხ-ებისთვის – 54000 ლარი წელიწადში.

ვ) სხ-ის ფრენის ვარგისობის სერტიფიკატის გაცემა/ვადის გაგრძელება – 125 ლარი;

ვ.ა) საჰაერო ხომალდის ფრენის ვარგისობის სერტიფიკატის გამოცვლა/დუბლიკატის გაცემა – 125 ლარი;

მე-2 სამუშაო დღეს – 250 ლარი;

ზ) სხ-ის ხმაურის სერტიფიკატის გაცემა – 250 ლარი;

ზ.ა) სხ-ის ხმაურის სერტიფიკატის გამოცვლა/დუბლიკატის გაცემა – 125 ლარი;

მე-2 სამუშაო დღეს – 400 ლარი;

თ) სხ-ის რადიოსადგურის სერტიფიკატის გაცემა – 250 ლარი;

თ.ა) სხ-ის რადიოსადგურის სერტიფიკატის გამოცვლა/დუბლიკატის გაცემა – 125 ლარი;

მე-2 სამუშაო დღეს – 400 ლარი;

ი) სხ - ის ფრენის ვარგისობის სერტიფიკატში ცვლილებების შეტანა :

ი.ა) ზემსუბუქი სხ-ებისათვის (750 კგ-მდე) – 50 ლარი;

მე-2 სამუშაო დღეს – 100 ლარი;



- ი.ბ) მსუბუქი სხ-ებისათვის (751 კგ – 5700 კგ-მდე) – 75 ლარი;
- მე-2 სამუშაო დღეს - 150 ლარი;
- ი.გ) 5701 კგ – 15000 კგ-მდე სხ-ებისთვის – 200 ლარი;
- მე-2 სამუშაო დღეს - 400 ლარი;
- ი.დ) 15001 კგ – 90000 კგ-მდე სხ-ებისთვის – 300 ლარი;
- მე-2 სამუშაო დღეს - 600 ლარი;
- ი.ე) 90000 კგ-ზე მძიმე სხ-ებისთვის – 650 ლარი;
- მე-2 სამუშაო დღეს - 1300 ლარი.

კ) სხ-ის ფრენის ვარგისობის საექსპორტო სერტიფიკატის გაცემა:

- კ.ა) ზემსუბუქი სხ-ებისათვის (750 კგ-მდე) – 500 ლარი;
- კ.ბ) მსუბუქი სხ-ებისათვის (751კგ – 5700 კგ-მდე) – 750 ლარი;
- კ.გ) 5701 კგ – 15000 კგ-მდე სხ-ებისთვის – 2000 ლარი;
- კ.დ) 15001 კგ – 90000 კგ-მდე სხ-ებისთვის – 3000 ლარი;
- კ.ე) 90000 კგ-ზე მძიმე სხ-ებისთვის – 6250 ლარი;

ლ) ფრენის ვარგისობის სერტიფიკატის გარეშე დაშვებულ ფრენაზე განაცხადის შეფასება/დასკვნის მომზადება:

- ლ.ა) ზემსუბუქი სხ-ებისათვის (750 კგ-მდე) – 50 ლარი;
- ლ.ბ) მსუბუქი სხ-ებისათვის (751კგ – 5700 კგ-მდე) – 75 ლარი;
- ლ.გ) 5701 კგ – 15000 კგ-მდე სხ-ებისთვის – 200 ლარი;
- ლ.დ) 15001 კგ – 90000 კგ-მდე სხ-ებისთვის – 300 ლარი;
- ლ.ე) 90000 კგ-ზე მძიმე სხ-ებისთვის – 650 ლარი;

მ) სხ-ის ტექნიკური მომსახურების პროგრამის/პროგრამაში ცვლილებების განაცხადის შეფასება/დასკვნის მომზადება:

- მ.ა) ზემსუბუქი და მსუბუქი სხ-ებისათვის (5700 კგ-მდე) – 50 ლარი;
- მ.ბ) 5701 კგ – 15000 კგ-მდე სხ-ებისთვის – 125 ლარი;
- მ.გ) 15000 კგ-ზე მძიმე სხ-ებისთვის – 250 ლარი;

ნ) სხ-ის რესურსის გაგრძელება:

- ნ.ა) ზემსუბუქი სხ-ებისათვის (750 კგ-მდე) – 250 ლარი;
- ნ.ბ) მსუბუქი სხ-ებისათვის (751 კგ – 5700 კგ-მდე) – 400 ლარი;
- ნ.გ) 5701 კგ – 15000 კგ-მდე სხ-ებისთვის – 1000 ლარი;
- ნ.დ) 15001 კგ – 90000 კგ-მდე სხ-ებისთვის – 1500 ლარი;
- ნ.ე) 90000 კგ-ზე მძიმე სხ-ებისთვის – 3150 ლარი;

ო) სხ-ის MEL-ის (მინიმალური აღჭურვილობის ჩამონათვალის) შეთანხმების განაცხადის შეფასება/დასკვნის მომზადება:

- ო.ა) ზემსუბუქი და მსუბუქი სხ-ებისათვის (5700 კგ-მდე) – 125 ლარი;
- ო.ბ) 5701 კგ – 15000 კგ-მდე სხ-ებისთვის – 250 ლარი;
- ო.გ) 15000 კგ-ზე მძიმე სხ-ებისთვის – 500 ლარი;

პ) სხ-ის MEL-ის (მინიმალური აღჭურვილობის ჩამონათვალის) ცვლილების შეთანხმების განაცხადის შეფასება/დასკვნის მომზადება:

- პ.ა) ზემსუბუქი და მსუბუქი სხ-ებისათვის (5700 კგ-მდე) – 25 ლარი;
- პ.ბ) 5701 კგ – 15000 კგ-მდე სხ-ებისთვის – 75 ლარი;
- პ.გ) 15000 კგ-ზე მძიმე სხ-ებისთვის – 150 ლარი;

ჟ) საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების საწარმოს სერტიფიცირება:

ჟ.ა) ტექნიკური მომსახურების შესაბამისობის სერტიფიკატის გაცემა:

ჟ.ა.ა) ზემსუბუქი და მსუბუქი (5700 კგ-მდე) სხ-ების მომსახურებისათვის – 1250 ლარი;

ჟ.ა.ბ) 5701 კგ-ზე მეტი სხ-ების მომსახურებისათვის – 5000 ლარი;

ჟ.ა.გ) ამ პუნქტის „ჟ.ა.ა.“ და „ჟ.ა.ბ.“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული სხ-ების მომსახურებისათვის – 6250 ლარი;

ჟ.ა.დ) დამატებითი საფასურის განაკვეთები საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების საწარმოს სერტიფიკატის დანართში შეტანილ მომსახურების სახეობებზე (სხ-ის მაქსიმალური ასაფრენი მასის და მისი კომპონენტების მიხედვით):

ჟ.ა.დ.ა) კატეგორია 'A' -- საჰაერო ხომალდებისთვის:

ჟ.ა.დ.ა.ა) ზემსუბუქი სხ-ებისათვის 750 კგ-მდე - ოპერატიული ტექნიკური მომსახურება 125 ლარი/ტიპი, პერიოდული ტექნიკური მომსახურება 250 ლარი/ტიპი;

ჟ.ა.დ.ა.ბ) მსუბუქი სხ-ებისათვის (751 კგ-5700 კგ – მდე) – ოპერატიული ტექნიკური მომსახურება 250 ლარი/ტიპი, პერიოდული ტექნიკური მომსახურება 500 ლარი/ტიპი;

ჟ.ა.დ.ა.გ) 5701 კგ – 15000 კგ სხ-ებისთვის – ოპერატიული ტექნიკური მომსახურება 500 ლარი/ტიპი, პერიოდული ტექნიკური მომსახურება 1000 ლარი/ტიპი;

ჟ.ა.დ.ა.დ) 15001კგ – 90000 კგ-მდე სხ-ებისთვის – ოპერატიული ტექნიკური მომსახურება 1000 ლარი/ტიპი, პერიოდული ტექნიკური მომსახურება 2000 ლარი/ტიპი;

ჟ.ა.დ.ა.ე) 90000კგ-ზე მძიმე მეტი სხ-ებისთვის – ოპერატიული ტექნიკური მომსახურება 2000 ლარი/ტიპი,



პერიოდული ტექნიკური მომსახურება 3000 ლარი/ტიპი:

ჟ.ა.დ.ბ) კატეგორია 'B' -- ავიაძრავები – 250 ლარი თითოეულ ტიპზე;

ჟ.ა.დ.გ) კატეგორია 'C' -- სხ-ის სხვა კომპონენტები – 250 ლარი თითოეულ სისტემაზე;

ჟ.ა.დ.დ) კატეგორია 'D' -- ტექნიკური კონტროლის მეთოდები - 150 ლარი თითოეულ მეთოდზე.

ჟ.ბ) საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების საწარმოს სერტიფიკატის დანართში ცვლილებების შეტანის საფასურია – ამ პუნქტის „ჟ.ა.დ.ა“- „ჟ.ა.დ.დ“ ქვეპუნქტებით დადგენილი საფასურის განაკვეთები;

რ) უცხო ქვეყნის მიერ გაცემული ტექნიკური მომსახურების შესაბამისობის სერტიფიკატის აღიარებაზე განაცხადის შეფასება/აღიარება – „ჟ“ პუნქტის „ჟ.ა.ა – ჟ.ა.დ.დ“ ქვეპუნქტით დადგენილი მომსახურების საფასურების განაკვეთის 75%;

ს) ტექნიკური მომსახურების სახელმძღვანელოს შეთანხმების განაცხადის შეფასება/დასკვნის მომზადება – 500 ლარი;

ს.ა) ტექნიკური მომსახურების სახელმძღვანელოში ცვლილებების შეტანის განაცხადის შეფასება/დასკვნის მომზადება – 150 ლარი.

ს¹) ტექნიკური მომსახურების მართვის სახელმძღვანელოს შეთანხმების განაცხადის შეფასება/დასკვნის მომზადება – 500 ლარი;

ს¹.ა) ტექნიკური მომსახურების მართვის სახელმძღვანელოში ცვლილებების შეტანის განაცხადის შეფასება/დასკვნის მომზადება – 150 ლარი.

ს²) ტექნიკური მომსახურების სახელმძღვანელოს და ტექნიკური მომსახურების მართვის სახელმძღვანელოს კომბინირებული ვერსიის შეთანხმების განაცხადის შეფასება/დასკვნის მომზადება - 800 ლარი;

ს².ა) ტექნიკური მომსახურების სახელმძღვანელოს და ტექნიკური მომსახურების მართვის სახელმძღვანელოს კომბინირებულ ვერსიაში ცვლილებების შეტანის განაცხადის შეფასება/დასკვნის მომზადება - 300 ლარი;

ს³) ხარისხის მართვის სახელმძღვანელოს შეთანხმების განაცხადის შეფასება / დასკვნის მომზადება - 150 ლარი;

ს3.ა) ხარისხის მართვის სახელმძღვანელოში ცვლილებების შეტანა - 75 ლარი.

ტ) სხ-ის ექსპლუატანტის სერტიფიცირება:

ტ.ა) სხ-ის ექსპლუატანტის სერტიფიკატის გაცემაზე განაცხადისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასება/დასკვნის მომზადება/სერტიფიკატის გაცემა (ზემსუბუქი და მსუბუქი სხ-ების გარდა) – 12500 ლარი“;

ტ.ა.ა) დამატებითი საფასურის განაკვეთი სხ-ის ექსპლუატანტის სერტიფიკატის დანართში თითოეული სხ-ისათვის სხ-ის ტიპის მიხედვით:

ტ.ა.ა.ა) 5700 კგ-მდე სხ-ებისთვის – 500 ლარი;

ტ.ა.ა.ბ) 5701 კგ-15000კგ სხ-ებისთვის – 750 ლარი;

ტ.ა.ა.გ) 15001 კგ-90000კგ სხ-ებისთვის – 1000 ლარი;

ტ.ა.ა.დ) 90000 კგ-ზე მეტი სხ-ებისთვის –1250 ლარი;

ტ.ბ) სხ-ის ექსპლუატანტის სერტიფიკატის მოქმედების ვადის გაგრძელებაზე განაცხადის შეფასება/დასკვნის მომზადება/ვადის გაგრძელება (ზემსუბუქი და მსუბუქი სხ-ების გარდა) – 5000 ლარი;

ტ.გ) სხ-ის ექსპლუატანტის შეჩერებული სერტიფიკატის მოქმედების ვადის აღდგენაზე განაცხადის შეფასება/დასკვნის მომზადება/მოქმედების ვადის აღდგენა (ზემსუბუქი და მსუბუქი სხ-ების გარდა) – 7500 ლარი;

ტ.დ) სხ-ს ექსპლუატანტის სერტიფიკატის №1 დანართში სხ-ის შეტანა (ზემსუბუქი და მსუბუქი სხ-ების გარდა):

ტ.დ.ა) 5700 კგ-მდე სხ-ებისთვის – 500 ლარი;

ტ.დ.ბ) 5701 კგ-15000კგ სხ-ებისთვის – 750 ლარი;

ტ.დ.გ) 15001 კგ-90000კგ სხ-ებისთვის – 1000 ლარი;

ტ.დ.დ) 90000 კგ-ზე მეტი სხ-ებისთვის – 1250 ლარი;

ტ.ე) სხ-ის ექსპლუატანტის სერტიფიკატის №1 დანართში ცვლილებების შეტანა, გარდა სხ-ის დანართიდან ამოღებისა – 125 ლარი;

ტ.ვ) სხ-ის ექსპლუატანტის სერტიფიკატის №2 დანართის გაცემაზე განაცხადის შეფასება/დასკვნის მომზადება/№2 დანართის გაცემა თითოეული სხ-ისათვის სხ-ის ტიპის მიხედვით:

ტ.ვ.ა) 5700 კგ-მდე სხ-ებისთვის – 500 ლარი;

ტ.ვ.ბ) 5701 კგ-15000კგ სხ-ებისთვის – 750 ლარი;

ტ.ვ.გ) 15001 კგ-90000კგ სხ-ებისთვის – 1000 ლარი;

ტ.ვ.დ) 90000 კგ-ზე მეტი სხ-ებისთვის – 1250 ლარი.

ტ.ზ) სხ-ის ექსპლუატანტის სერტიფიკატის გაცემაზე განაცხადისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასება/დასკვნის მომზადება/სერტიფიკატის გაცემა ზემსუბუქი და მსუბუქი სხ-ებისთვის – 1250 ლარი;

ტ.ზ.ა) დამატებითი საფასურის განაკვეთი სხ-ის ექსპლუატანტის სერტიფიკატის №1 დანართში თითოეული საჰაერო ხომალდისათვის – 150 ლარი;

ტ.თ) სხ-ის ექსპლუატანტის სერტიფიკატის მოქმედების ვადის გაგრძელებაზე განაცხადის



შეფასება/დასკვნის მომზადება/მოქმედების ვადის გაგრძელება (ზემსუბუქი და მსუბუქი სხ-ებისთვის) – 750 ლარი;

ტ.ი) სხ-ის ექსპლუატანტის სერტიფიკატის №1 დანართში სხ-ის შეტანა (ზემსუბუქი და მსუბუქი სხ-ებისთვის) – 150 ლარი;

ტ.კ) შეჩერებული სხ-ის ექსპლუატანტის სერტიფიკატის მოქმედების ვადის აღდგენაზე განაცხადის შეფასება/დასკვნის მომზადება/მოქმედების ვადის აღდგენა (ზემსუბუქი და მსუბუქი სხ-ებისათვის) – 1150 ლარი;

ტ.ლ) სხ-ის ექსპლუატანტის სერტიფიკატის №1 დანართში ცვლილების შეტანა, გარდა სხ-ის დანართიდან ამოღებისა ზემსუბუქი და მსუბუქი სხ-ებისთვის – 65 ლარი;

ტ.მ) სხ-ს ექსპლუატანტებისათვის სახიფათო ტვირთის გადაზიდვის უფლების მინიჭებაზე განაცხადის შეფასება/დასკვნის მომზადება/სახიფათო ტვირთის გადაზიდვის უფლების მინიჭება – 1250 ლარი;

ტ.ნ) ფრენის შესრულების სახელმძღვანელოს ახალი რედაქციის დამტკიცება – 250 ლარი;

ტ.ო) ფრენის შესრულების სახელმძღვანელოში ცვლილებების შეტანა – 75 ლარი ერთი რევიზია;

ტ.პ) უსაფრთხოების მართვის სისტემის (SMS) ახალი რედაქციის დამტკიცება – 250 ლარი;

ტ.ჟ) უსაფრთხოების მართვის სისტემაში (SMS) ცვლილებების შეტანა – 75 ლარი;

ტ.რ) ფრენის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პროგრამების ახალი რედაქციის შეთანხმება – 150 ლარი;

ტ.ს) ფრენის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ პროგრამებში ცვლილებების შეტანა – 75 ლარი.

ტ.ტ) საფრენოსნო-ტექნიკური პერსონალის მომზადების პროგრამების შეთანხმება – 150 ლარი;

ტ.უ) საფრენოსნო-ტექნიკური პერსონალის მომზადების პროგრამებში ცვლილებების შეტანა – 40 ლარი;

ტ.ფ) საფრენოსნო საექსპლუატაციო სპეციალური დებულებების შეთანხმება – 150 ლარი;

ტ.ქ) საფრენოსნო საექსპლუატაციო სპეციალურ დებულებებში ცვლილებების შეტანა – 50 ლარი;

ტ.ღ) სხ-ის ექსპლუატანტის სერტიფიკატის და დანართების დუბლიკატების გაცემა – 125 ლარი;

მე-2 სამუშაო დღეს – 200 ლარი“;

ტ.ყ) მიწისზედა მომსახურების სახელმძღვანელოს ახალი რედაქციის შეთანხმება – 250 ლარი;

ტ.ყ.ა) მიწისზედა მომსახურების სახელმძღვანელოში ცვლილებების შეტანა – 75 ლარი;

უ) სამოქალაქო ავიაციის სასწავლო დაწესებულების (სდ) სერტიფიცირება:

უ.ა) სასწავლო დაწესებულების სერტიფიცირებაზე განაცხადის შეფასება/სერტიფიკატის გაცემა – 3750 ლარი;

უ.ბ) თავისუფალი აეროსტატის სასწავლო დაწესებულების სერტიფიცირებაზე განაცხადის შეფასება/სერტიფიკატის გაცემა – 2000 ლარი;

უ.გ) სდ-ის სერტიფიკატის დანართში ცვლილების შეტანა – 75 ლარი ერთი ცვლილება;

უ.დ) სდ-ის შეჩერებული სერტიფიკატის განახლების განცხადების განხილვა/სერტიფიკატის მოქმედების განახლება – 6000 ლარი;

უ.ე) სდ-ის პროგრამების ახალი რედაქციის შეთანხმება – 150 ლარი;

უ.ვ) სდ-ის პროგრამაში ცვლილებების შეტანა – 25 ლარი;

უ.ზ) სდ-ის სერტიფიკატის დანართის დუბლიკატის გაცემა – 25 ლარი;

მე-2 სამუშაო დღეს – 50 ლარი;

უ.თ) უცხო ქვეყნის სამოქალაქო ავიაციის სასწავლო დაწესებულების აღიარება – 250 ლარი;

უ.ი) მასწავლებლის მოწმობის გაცემა – 75 ლარი;

უ.კ) მასწავლებლის მოწმობის დუბლიკატის გაცემა – 25 ლარი;

მე-2 სამუშაო დღეს – 50 ლარი;

უ.ლ) საფრენოსნო-ტექნიკური პერსონალის მოწმობების გაცემა – 35 ლარი;

უ.მ) სდ-ის სასწავლო პროცესისა და პროცედურების სახელმძღვანელოს ახალი რედაქციის შეთანხმება – 250 ლარი;

უ.ნ) სდ-ის სასწავლო პროცესისა და პროცედურების სახელმძღვანელოში ცვლილების შეტანა – 125 ლარი;

ფ) საფრენოსნო-ტექნიკური პერსონალის მოწმობების მოქმედების ვადის გაგრძელება:

ფ.ა) ავიაკომპანიის სატრანსპორტო პილოტის მოწმობის – 250 ლარი;

მე-3 სამუშაო დღეს – 500 ლარი;

ფ.ბ) „კომერციული პილოტის მოწმობის“ – 200 ლარი;

მე-3 სამუშაო დღეს – 400 ლარი;

ფ.გ) მოყვარული პილოტის, თავისუფალი აეროსტატის პილოტის/პლანერის პილოტის მოწმობების – 125 ლარი;

მე-3 სამუშაო დღეს – 250 ლარი;

ფ.დ) აერნაოსნის მოწმობის, ბორტინჟინრის მოწმობის, საჰაერო მოძრაობის მეთვალყურის მოწმობის – 200 ლარი;

მე-3 სამუშაო დღეს – 400 ლარი;

ფ.ე) ბორტრადისტის, ტექნიკური პერსონალის მოწმობის – 150 ლარი;

მე-3 სამუშაო დღეს – 250 ლარი;

ფ.ვ) ბორტგამყოლის, ბორტოპერატორის მოწმობის – 75 ლარი;

მე-3 სამუშაო დღეს – 150 ლარი;



- ფ.ზ) ავიადისპეტჩერის მოწმობის – 150 ლარი;
- მე-3 სამუშაო დღეს – 250 ლარი;
- ქ) უცხო ქვეყნის მიერ გაცემული საფრენოსნო-ტექნიკური პერსონალის მოწმობების აღიარება:
- ქ.ა) ავიაკომპანიის სატრანსპორტო პილოტის მოწმობის (თვითმფრინავი, შვეულმფრენი) – 500 ლარი;
- ქ.ბ) „კომერციული პილოტის“ მოწმობის – 375 ლარი;
- ქ.გ) მოყვარული პილოტის, თავისუფალი აეროსტატის პილოტის/პლანერის პილოტის მოწმობების – 250 ლარი;
- ქ.დ) აერნოსნის მოწმობის, ბორტინჟინრის მოწმობის, საჰაერო მოძრაობის მეთვალყურის მოწმობის – 375 ლარი;
- ქ.ე) ბორტრადისტის, ტექნიკური პერსონალის მოწმობის – 250 ლარი;
- ქ.ვ) ბორტგამყოლის, ბორტოპერატორის მოწმობის – 125 ლარი;
- ღ) საფრენოსნო-ტექნიკური პერსონალის მოწმობებში საკვალიფიკაციო აღნიშვნა – 50 ლარი, მე-3 სამუშაო დღეს – 150 ლარი;
- ყ) საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფა:
- ყ.ა) ავიასაწარმოების საავიაციო უშიშროების უზრუნველმყოფი პროგრამის განხილვა და შეთანხმება – 150 ლარი;
- ყ.ბ) ავიასაწარმოების საავიაციო უშიშროების უზრუნველმყოფ პროგრამაში ცვლილებების შეტანა – ერთი რევიზია – 25 ლარი;
- ყ.გ) საფრენოსნო საშვის გაცემა – 70 ლარი;
- ყ.დ) სამოქალაქო ავიაციის საავიაციო უშიშროების უზრუნველმყოფი პერსონალის მოწმობის/სერტიფიკატის გაცემა – 5 ლარი;
- ყ.ე) ავიაკომპანიის პერსონალის მომზადების პროგრამა, სამოქალაქო საჰაერო ტრანსპორტით სახიფათო ტვირთების გადაზიდვებთან დაკავშირებით – 150 ლარი;
- ყ.ვ) სამოქალაქო საჰაერო ტრანსპორტით სახიფათო ტვირთების გადაზიდვებთან დაკავშირებით ავიაკომპანიის პერსონალის მომზადების პროგრამაში ცვლილებების შეტანა – 70 ლარი;
- ყ.ზ) სამოქალაქო საჰაერო ტრანსპორტით „სახიფათო ტვირთის (ნაკეთობების) გადაზიდვის სახელმძღვანელო – 150 ლარი;
- ყ.თ) სამოქალაქო საჰაერო ტრანსპორტით „სახიფათო ტვირთის (ნაკეთობების) გადაზიდვის სახელმძღვანელოში ცვლილებების შეტანა - 70 ლარი;
- შ) აეროდრომებისა და ვერტოდრომების ტექნიკური მდგომარეობის შეფასება:
- შ.ა) სასერტიფიკაციო დოკუმენტაციის განაცხადის განხილვა/სერტიფიკატის გაცემა:
- შ.ა.ა) აეროდრომებისთვის კოდური ნომრით 1 – 1250 ლარი;
- შ.ა.ბ) აეროდრომებისთვის კოდური ნომრით 2 – 1750 ლარი;
- შ.ა.გ) აეროდრომებისთვის კოდური ნომრით 3 – 12 500 ლარი;
- შ.ა.დ) აეროდრომებისთვის კოდური ნომრით 4 – 25 000 ლარი;
- შ.ა.ე) ვერტოდრომებისთვის – 1250 ლარი;
- შ.ბ) აეროდრომებისა და ვერტოდრომების სერტიფიკატის გამოცვლა/ სერტიფიკატში ცვლილებების შეტანა:
- შ.ბ.ა) აეროდრომებისთვის კოდური ნომრით 1 – 350 ლარი;
- შ.ბ.ბ) აეროდრომებისთვის კოდური ნომრით 2 – 450 ლარი;
- შ.ბ.გ) აეროდრომებისთვის კოდური ნომრით 3 – 3 250 ლარი;
- შ.ბ.დ) აეროდრომებისთვის კოდური ნომრით 4 – 6 500 ლარი;
- შ.ბ.ე) ვერტოდრომებისთვის – 350 ლარი;
- შ.გ) აეროდრომებისა და ვერტოდრომების სერტიფიკატის დუბლიკატის გაცემა – 125 ლარი; მე-2 სამუშაო დღეს – 200 ლარი;
- შ.დ) აეროდრომებისა და ვერტოდრომების ტექნიკური მდგომარეობის შეფასება:
- შ.დ.ა) აეროდრომებისთვის კოდური ნომრით 1 – 1250 ლარი წელიწადში;
- შ.დ.ბ) აეროდრომებისთვის კოდური ნომრით 2 – 1250 ლარი წელიწადში;
- შ.დ.გ) აეროდრომებისთვის კოდური ნომრით 3 – 1250 ლარი წელიწადში;
- შ.დ.დ) აეროდრომებისთვის კოდური ნომრით 4 – 1 ლარი მომსახურებული ს.ხ-ის (მხოლოდ აფრენა/დაფრენის ოპერაცია) მაქსიმალური ასაფრენი მასის (MTOW) ყოველ ტონაზე;
- შ.დ.ე) ვერტოდრომებისთვის ს – 1250 ლარი წელიწადში;
- შ.დ.ვ) აეროდრომებზე და აეროდრომისპირა ზონებში შენობა-ნაგებობებისა და ხელოვნური დაბრკოლებების განთავსების სიმაღლეების შეთანხმება – 125 ლარი;
- ჩ) ავიასაწვავგამმარტველი საწარმოების სერტიფიცირება:
- ჩ.ა) სასერტიფიკაციო დოკუმენტაციის შეფასება/სერტიფიკატის გაცემა – 17500 ლარი;
- ჩ.ბ) სერტიფიკატის გამოცვლა, სერტიფიკატში ცვლილებების შეტანა – 500 ლარი;
- ჩ.გ) სერტიფიკატის დუბლიკატის გაცემა – 125 ლარი;
- მე-2 სამუშაო დღეს – 200 ლარი;
- ჩ.დ) ავიასაწვავგამმარტველი საწარმოს ტექნიკური მდგომარეობის შეფასება – 7500 ლარი წელიწადში;
- ჩ¹ საწვავ- გასამართი საწარმოს ტექნიკური პერსონალის სერტიფიცირება:



- ა) „საწვავ-გასამართი საწარმოს ტექნიკური პერსონალის მომზადების პროგრამის“ განხილვა და შეთანხმება - 150 ლარი;
- ბ) „საწვავ-გასამართი საწარმოს ტექნიკური პერსონალის მომზადების პროგრამაში“ ცვლილების შეტანა - 25 ლარი;
- გ) საწვავ-გასამართი საწარმოს ტექნიკური პერსონალის მოწმობის გაცემა - 75 ლარი;
- დ) საწვავ-გასამართი საწარმოს ტექნიკური პერსონალის მოწმობის მოქმედების ვადის გაგრძელება - 50 ლარი;
- ე) ტექნიკური პერსონალის მოწმობის დუბლიკატის გაცემა - 35 ლარი;
- ვ) სააერნაოსნო მომსახურების მიმწოდებელი საწარმოს (ორგანიზაციის) სასერტიფიკაციო მომსახურება/განაცხადის შეფასება/სერტიფიცირება – 62 500 ლარი;
- ძ) მარშრუტის საერნაოსნო მომსახურებაზე ზედამხედველობა - ევროკონტროლის (ევროპის საჰაერო ნავიგაციის უსაფრთხოების ორგანიზაცია) მეთოდოლოგიით სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსათვის დამტკიცებული ერთეულის განაკვეთის მიხედვით გაანგარიშებული თანხის ოდენობა;
- ძ¹) ტერმინალის საერნაოსნო მომსახურებაზე ზედამხედველობა - ევროკონტროლის (ევროპის საჰაერო ნავიგაციის უსაფრთხოების ორგანიზაცია) მეთოდოლოგიით სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსათვის დამტკიცებული ხარჯების ანაზღაურების მიზნით მისაღები თანხის ოდენობა;
- წ) სახიფათო ტვირთის გადაზიდვებისას „გათავისუფლების გაცემა“ (საქართველოს აეროპორტებში/აეროპორტებიდან დაჯდომისას/გაფრენისას) – 1250 ლარი ყოველი გათავისუფლება;
- ჭ) საავიაციო სატვირთო ტერმინალის სერტიფიკატის გაცემა – 5000 ლარი;
- ჭ.ა) საავიაციო ტერმინალის ტექნიკური მდგომარეობის შეფასება – 5000 ლარი წელიწადში;
- ჭ.ბ) საავიაციო სატვირთო ტერმინალის შეჩერებული სერტიფიკატის მოქმედების ვადის აღდგენა – 5000 ლარი;
- ხ) საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის გაცემა:
 - ხ.ა) „ა“ კატეგორიის საწარმოსთვის – 12500 ლარი;
 - ხ.ბ) „ბ“ კატეგორიის საწარმოსთვის – 3000 ლარი;
- ჯ) საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის შენარჩუნებაზე ზედამხედველობა:
 - ჯ.ა) „ა“ კატეგორიის საწარმოსთვის – 12000 ლარი წელიწადში;
 - ჯ.ბ) „ბ“ კატეგორიის საწარმოსთვის – 3000 ლარი წელიწადში;
- კ) ფრენის იმიტაციის საწვრთნელი მოწყობილობის (საწაფი) სერტიფიკატის გაცემა:
 - კ.ა) სრულპილოტაჟიანი საწაფის – (FFS) 3000 ლარი;
 - კ.ბ) საფრენოსნო საწვრთნელი მოწყობილობის – (FTD) – 2000 ლარი;
 - კ.გ) ფრენისა და სანავიგაციო პროცედურების დანადგარის – (FNPT) 1500 ლარი;
 - კ.დ) სახელსაწყო ფრენის ძირითადი საწვრთნელი მოწყობილობის – (BITD) 1000 ლარი.
- კ¹) ფრენის იმიტაციის საწვრთნელი მოწყობილობის სერტიფიკატში ცვლილების შეტანა:
 - კ.ა) სრულპილოტაჟიანი საწაფის – (FFS) – 300 ლარი;
 - კ.ბ) საფრენოსნო საწვრთნელი მოწყობილობის – (FTD) – 200 ლარი;
 - კ.გ) ფრენისა და სანავიგაციო პროცედურების დანადგარის – (FNPT) – 150 ლარი;
 - კ.დ) სახელსაწყო ფრენის ძირითადი საწვრთნელი მოწყობილობის – (BITD) – 100 ლარი.
- კ²) ფრენის იმიტაციის საწვრთნელი მოწყობილობის (საწაფი) მომსახურებაზე ზედამხედველობა:
 - კ.ა) სრულპილოტაჟიანი საწაფის (FFS) – 750 ლარი წელიწადში;
 - კ.ბ) საფრენოსნო საწვრთნელი მოწყობილობისთვის (FTD) – 500 ლარი წელიწადში;
 - კ.გ) ფრენისა და სანავიგაციო პროცედურების დანადგარისთვის (FNPT) – 300 ლარი წელიწადში;
 - კ.დ) სახელსაწყო ფრენის ძირითადი საწვრთნელი მოწყობილობისთვის (BITD) – 250 ლარი წელიწადში.
- 2. თავისუფალი აეროსტატებისათვის ამ წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა-ტ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მომსახურებისათვის დაინტერესებული პირი იხდის ზემსუბუქი სხ-ებისათვის დადგენილი მომსახურების საფასურის განაკვეთების 50 პროცენტს.
- 3. უპილოტო საჰაერო ხომალდის რეგისტრაციის საფასურის განაკვეთი მაქსიმალური ასაფრენი მასის მიხედვით:
 - ა) 5 კგ-დან 150 კგ-მდე მაქსიმალური ასაფრენი მასის მქონე უპილოტო საჰაერო ხომალდის რეგისტრაცია – 50 ლარი;
 - ბ) 150 კგ და მეტი მაქსიმალური ასაფრენი მასის მქონე უპილოტო საჰაერო ხომალდის რეგისტრაცია – 100 ლარი;
 - გ) უპილოტო საჰაერო ხომალდის რეგისტრაციის სერტიფიკატის დუბლიკატის გაცემა – 20 ლარი.“.
- 4. დისტანციურად მართვადი საჰაერო ხომალდის სპეციფიკურ კატეგორიაში ექსპლუატაციისთვის თანხმობის სერტიფიკატის გაცემა, მოქმედების ვადის გაგრძელება, ცვლილებების შეტანა:
 - ა) დისტანციურად მართვადი საჰაერო ხომალდის სპეციფიკურ კატეგორიაში ექსპლუატაციისთვის თანხმობის სერტიფიკატის გაცემა – 100 ლარი;
 - ბ) დისტანციურად მართვადი საჰაერო ხომალდის ექსპლუატაციაზე თანხმობის სერტიფიკატის მოქმედების ვადის გაგრძელება – 50 ლარი;



გ) დისტანციურად მართვადი საჰაერო ხომალდის ექსპლუატაციაზე თანხმობის სერტიფიკატში ცვლილებების შეტანა – 50 ლარი.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 16 ოქტომბრის ბრძანება №1-1/1865 - ვებგვერდი, 19.10.2012 წ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2013 წლის 23 აპრილის ბრძანება №1-1/97 - ვებგვერდი, 24.04.2013 წ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2014 წლის 25 მარტის ბრძანება №1-1/78 - ვებგვერდი, 25.03.2014 წ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 3 ივლისის ბრძანება №1-1/282 - ვებგვერდი, 03.07.2017 წ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 17 დეკემბრის ბრძანება №1-1/590 - ვებგვერდი, 18.12.2018 წ.

მუხლი 4. საფასურის გადახდის წესი

1. სააგენტოს მომსახურებით დაინტერესებული პირი ვალდებულია გადაიხადოს საფასური ამ წესის მე-3 მუხლით დადგენილი ოდენობით. საფასური გადაიხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, წინასწარ, შესაბამისი მომსახურების გაწევამდე, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. ამ წესით დადგენილი მომსახურების საფასური გადაიხდება ეროვნულ ვალუტაში – ლარში, გარდა ამ წესის მესამე მუხლის პირველი პუნქტის „ძ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

3. ამ წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის:

ა) „ე“ ქვეპუნქტით, „ე¹“ ქვეპუნქტით, „შ“ ქვეპუნქტის „შ.დ.ა-შ.დ.გ“, „შ.დ.ე“ ქვეპუნქტებით, „ჩ“ ქვეპუნქტის „ჩ.დ“ ქვეპუნქტით, „ჭ“ ქვეპუნქტის „ჭ.ა“ ქვეპუნქტით, „ჯ“ ქვეპუნქტით და „ჰ“ ქვეპუნქტით წლიურად დადგენილი მომსახურების საფასურის გადახდა წარმოებს თანაბარნაწილად, ყოველი მომდევნო თვის 15 რიცხვამდე.

ბ) „შ“ ქვეპუნქტის „შ.დ.დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფასურის გადახდა წარმოებს ყოველი მომდევნო თვის 15 რიცხვამდე, წინა თვის განმავლობაში გაწეული მომსახურებისათვის.

გ) „ძ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფასურის გადახდა წარმოებს ევროკონტროლის (ევროპის საჰაერო ნავიგაციის უსაფრთხოების ორგანიზაცია) მიერ;

დ) „ძ¹“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფასურის გადახდა წარმოებს ყოველი მომდევნო თვის 15 რიცხვამდე.

4. დაინტერესებული პირის მიერ დაჩქარების შესაბამისი ღირებულებების გადახდის საფუძველზე, სააგენტო ამ წესით გათვალისწინებული ვადების გათვალისწინებით, მომსახურებას აწარმოებს დაჩქარებული წესით.

5. უნაღდო ანგარიშსწორება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. საფასური ჩაირიცხება სააგენტოს ანგარიშზე.

7. ამ წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ე¹“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების საფასური გადახდას არ ექვემდებარება, თუ სხ-ს არ გააჩნია მოქმედი საფრენად ვარგისობის მოწმობა ან დაინტერესებული პირი სააგენტოში წარმოადგენს წერილობით დადასტურებას, მის ექსპლუატაციაში მყოფი სხ-ის მიერ ერთი თვის განმავლობაში ფრენების შეუსრულებლობის თაობაზე.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2013 წლის 23 აპრილის ბრძანება №1-1/97 - ვებგვერდი, 24.04.2013 წ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2014 წლის 25 მარტის ბრძანება №1-1/78 - ვებგვერდი, 25.03.2014 წ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 3 ივლისის ბრძანება №1-1/282 - ვებგვერდი, 03.07.2017 წ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 17 დეკემბრის ბრძანება №1-1/590 - ვებგვერდი, 18.12.2018 წ.

მუხლი 5. გადახდილი საფასურის დაბრუნების წესი

1. თუ საფასური გადახდილია დადგენილ განაკვეთზე მეტი ოდენობით, საფასურის გადამხდელს დაუბრუნდება სხვაობა მის მიერ გადახდილ თანხასა და დადგენილ განაკვეთს შორის. საფასურის გადამხდელის მოთხოვნით, სააგენტო უფლებამოსილია ზედმეტად, ან წინასწარ გადახდილი თანხა ჩათვალოს სხვა მომსახურების ანგარიშში.

2. გადახდილი საფასური სრულად ბრუნდება, თუ:

ა) სააგენტო კანონიერი საფუძვლის არსებობისას უარს აცხადებს მომსახურების განხორციელებაზე;

ბ) დაინტერესებული პირი მომსახურების დაწყებამდე წერილობით განაცხადებს უარს მომსახურებაზე;

გ) სააგენტომ მომსახურება არ განახორციელა კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

დ) მოთხოვნილია ისეთი მომსახურება, რომლის გაწევაც არ განეკუთვნება სააგენტოს კომპეტენციას.

3. დაჩქარებული მომსახურების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, სააგენტო 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში აცნობებს დაინტერესებულ პირს და გადახდილი საფასური დაბრუნდება ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

4. თუ მომსახურების გაწევისას გამოვლინდა ხარვეზი, სააგენტო განმცხადებელს მიუთითებს კონკრეტულ ნაკლოვანებებზე და განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, რომლის განმავლობაშიც განმცხადებელმა უნდა გამოასწოროს ხარვეზი და წარმოადგინოს მისი გამოსწორების წერილობითი დოკუმენტი ან ინფორმაცია. აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის შემთხვევაში, სააგენტო ვალდებულია განახორციელოს მომსახურება უკვე გადახდილი საფასურის საფუძველზე. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ შეავსებს ხარვეზს, სააგენტო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ. განცხადების განუხილველად დატოვების შემთხვევაში დაინტერესებულ პირს გადახდილი საფასური არ დაუბრუნდება.

5. გადახდილი საფასურის ნაწილობრივ ან სრულად დაბრუნება ხორციელდება დაინტერესებული პირის



განცხადების საფუძველზე 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში. განცხადება უნდა შეიცავდეს გადახდილი საფასურის ნაწილობრივ ან სრულად დაბრუნების კანონიერი საფუძვლის არსებობის დასაბუთებას. მას თან უნდა ერთვოდეს თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

6. სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის გადახდილი საფასურის დაბრუნება შესაძლებელია მხოლოდ ამ მუხლის პირველი, მეორე და მესამე პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

7. საფასურის გადახდასთან დაკავშირებული დავა წყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

